საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კარტოზია გურამ ალექსანდრეს ძე



გ. კარტოზია

კარტოზია გურამ ალექსანდრეს ძე (31. X. 1934, თბილისი, – 9. XII. 2010, იქვე), ენათმეცნიერი. პროფესორი (2004). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1957). 1958–59 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკადემიის ცენტრ. სამეცნ. ბ-კაში სწავლულ მდივნად, 1963 – საქართვ. მეცნ. აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენი კომისიის მეცნიერ თანამშრომლად, 1966-იდან – ამავე კომისიის (1969-იდან – მთავარი რედაქციის) სწავლულ მდივნად. 1994-იდან მოღვაწეობდა თბილ. ს.-ს. ორბელიანის სახ. სახელმწ. პედ. ინ-ტში, სადაც 1999 სათავეში ჩაუდგა ქართველურ ენათა სამეცნ.-კვლევით ლაბორატორიას. კ. წლების განმავლობაში იყო შოთა რუსთაველის სახ. ლიტ-რის ინ-ტისა და პედ. ინ-ტის სამეცნ. საბჭოების წევრი, ჟურნ. „ენათმეცნიერების საკითხების" სარედაქციო კოლეგიისა და „ქართველოლოგიური ბიბლიოთეკის" სარედაქციო საბჭოს წევრი. კ-მ გ. წერეთელთან და ს. ცაიშვილთან ერთად გამოსაცემად მოამზადა „ვეფხისტყაოსნის" ტექსტი (1966, რედ. გ. წერეთელი, ი. აბაშიძე). მისი მონაწილეობით მომზადდა „ვეფხისტყაოსნის" აკად. გამოცემის ტექსტი, რ-ის ძირითადი ნაწილი (ჩანართი სტროფების გარეშე) დაიბეჭდა 1988. „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დადგენის ენობრივ ასპექტებს ეხება მისი ცალკეული წერილები და ნაშრომი «„ვეფხისტყაოსნის" ტექსტის საკითხები» (1975). იგი იკვლევდა - ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხებსა და საერთო ქართველურ ლექსიკას, საბიბლიოთეკო დარგის ტერმინოლოგიას. კ-მ დაადგინა და გამოსაცემად მოამზადა თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულების – „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" –

ტექსტი, რისთვისაც დაჯილდოვდა ივ. ჯავახიშვილის სახ. პრემიით.

თხზ.: ტექსტოლოგიური გამოკვლევები, თბ., 2004; ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბ., 2005; მეგრული და ლაზური ტექსტები, თბ., 2008; მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, თბ., 2010; საბიბლიოთეკო ტერმინების ლექსიკონი, თბ., 1962, *გამოც.* მე-2, თბ., 1974 (თანაავტ. გ. გიორგიძე).